სატელევიზიო მოწყობილობების გადაცემის აქტი

თარიღი ------- ---------- 2018 წელი
რიცხვი თვე

აბონენტი:

გვარი სახელი _____პირადი N: ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

მცხოვრები _____ _____ _____
(რაიონი) (ქალაქი / სოფელი) (ქუჩა) (სახლის/ბინის N)

საკონტაქტო ნომრები ☎_____ ☎_____

ოპერატორი:

შპს **„იმერ_TV“** ს/კოდი **430024948** , მისამართი: ქ. ზესტაფონი, კეკელიძის ქ. N:6, საკონტაქტო ნომერი ☎0492 256000

გადაცემის საგანი: სატელევიზიო სატელიტური სიგნალის მიმღები მოწყობილობა.

N	მოწყობილობის დასახელება	რაოდენობა	განზომილება
1	რესივერი IMERTV – HD, პულტით	1	ცალი
2	სატელიტური თეფში Ø 45სმ	1	ცალი
3	სიგნალის კონვერტორი - თავაკი	1	ცალი
4	კოაქსალური კაბელი RG6	20	მეტრი

ფასები და პირობები გადაცემული ან შესყიდული მოწყობილობის კომპლექტთან დაკავშირებით:

- აბონენტის მფლობელობაში ***მოწყობილობის კომპლექტი*** გადადის თანხის სრულად გადახდის მომენტისათვის.
- აბონენტი და ოპერატორი აფორმებენ ხელშეკრულებას ოპერატორის, როგორც სატელევიზიო ტრანზიტორის მხრიდან, **“იმერ_TV”-ს** სატელევიზიო სიგნალის მიღებაზე და სთავაზობს მყიდველს ***მოწყობილობის კომპლექტის*** გადაცემის შემდეგ შესაძლო ვარიანტებს:

I ვარიანტი:

კომპანია “იმერ_TV” ხელშეკრულების პირობით გადასცემს აბონენტს კომპლექტს დროებით სარგებლობაში.

II ვარიანტი:

50 ლარის სრულად გადახდა, რომლის შემდეგ კომპლექტი გადადის აბონენტის მფლობელობაში.

- **თანხის გადახდას** აბონენტი ნებისმიერ შემთხვევაში ახდენს სწრაფი გადახდის აპარატებზე ოპერატორის სასარგებლოდ, ხელშეკრულებაში მითითებული სააბონენტო ნომრის მიხედვით, რომელის იდენდიფიცირებას გადახდის შემდეგ ახდენს ოპერატორი და ასახავს მას ბილინგში აბონენტის ანგარიშზე.

გარანტიები გადაცემული ან შესყიდული მოწყობილობის კომპლექტთან დაკავშირებით:

ოპერატორის მხრივ მოწყობილობაზე ვრცელდება საგარანტიო ვადა **3 თვის ვადით**. ამ ვადის განმავლობაში იგი ვალდებულია უსასყიდლოდ შეუკეთოს ან გამოუცვალოს მყიდველს მოწყობილობა თუ ის გამოწვეულია ქარხნული წუნით, ხოლო სხვა შემთხვევაში თუ: ა) მოწყობილობას აღენიშნებათ ვიზუალურად მექანიკური დაზიანებები ბ) მათი დაზიანება გამოწვეულია არაშეუსაბამო გარემო პირობებით ან არასტაბილური ელექტრო ქსელით მოწყობილობის ექსპლოატაციით დ) გასულია საგარანტიო ვადა, ასეთის არსებობის შემთხვევაში მოწყობილობის შეკეთება ან გამოცვლა მოხდება აბონენტის ხარჯებით, ხელშეკრულებაში ოპერატორის მიერ დადგენილი **ტარიფების დანართის** შესაბამისად.

- გადაცემის აქტი შედგენილია ორ თანაბარი შინაარსის მქონე ეგზემპლარად და ხელმოწერილია ოპერატორისა და აბონენტის მიერ, რომელიც ინახება თითო ეგზემპლარად მხარეებთან.

ოპერატორი: ***აბონენტი:***

შპს „იმერTV“ -ის დირექტორი

---------- ----------

სატელევიზიო პაკეტების, მოწყობილობის ღირებულების და შემდგომში დამატებით-ტექნიკური მომსახურეობის ტარიფების დანართი

აღნიშნული დანართი წარმოადგენს ოპერატორსა და აბონენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა დღგ-ს ჩათვლით ლარში
	სატელევიზიო პაკეტები	
0001	საბაზო პაკეტი = 25 პროგრამა	5
0002	საბაზო პაკეტი = 40 პროგრამა	10
0003	ძირითადი პაკეტი = 75 პროგრამა	15
0004	პლიუს პაკეტი **18+** = 77 პროგრამა	18
	დაზიანებული მოწყობილობების შეცვლა	
1006	რესივერი IMERTV – HD - ერთი ცალი	50
1006	რესივერი SUPERBOX – SD - ერთი ცალი	30
1002	კოდირების ბარათი - ერთი ცალი	25
1003	სატელიტური თეფში Ø 45სმ - ერთი ცალი	10
1004	სიგნალის კონვერტორი - თავაკი - ერთი ცალი	10
1009	კოაქსალური კაბელი - ერთი მეტრი	0.30
1010	პულტი IMERTV – HD - ერთი ცალი	10
1010	პულტი SUPERBOX – SD - ერთი ცალი	5
1011	რესივერის IMERTV– HD ვიდეო AV კაბელი	5
1011	რესივერის SUPERBOX – SD ვიდეო AV კაბელი	3
1012	რესივერის IMERTV– HD ვიდეო HDMI კაბელი	5
1013	რესივერის შეკეთება	5
	დამატებით-ტექნიკური მომსახურეობის აღწერა	
	აბონენტის მიერ ოპერატორის ტექნიკური სამსახურის გამოძახება	
2000	ოპერატორის მიზეზით გამოწვეული ნებისმიერი სახის მომსახურეობა	0
	აბონენტის მიზეზით გამოწვეული მომსახურეობები	
2001	ინსტალატორის ვიზიტი და სერვისის ინსტალაცია	20
2002	ინსტალატორის ვიზიტი აბონენტთან ცრუ გამოძახებაზე	10
2003	რესივერის პროგრამული განახლება ან/და ტელეარხების დალაგება	10
2004	ხელახალი ინსტრუქტაჟის ჩატატრება	10
2005	სატელიტური თეფშის გასწორება	20
2006	კოაქსალური კაბელის შეცვლა	10
2007	მოწყობილობების დემონტაჟი და სხვა ადგილზე მონტაჟი	20
2008	გაუქმებისას, აბონენტის მოწყობილობების ადგილზე დემონტაჟი	20
2009	გაუქმებისას, აბონენტის მიერ ოფისში მუშა მდგომარეობაში მყოფი მოწყობილობის მოტანის შემთხვევაში	0
3001	მომსახურეობის დაპაუზება დავალიანების არ არსებობის დროს = ერთ კალენდარულ წელიწადში არაუმეტეს სამი თვე.	0

დამატებით-ტექნიკურ სამუშაოებს ოპერატორის წარმომადგენელი ასრულებს აბონენტის მიერ ადგილზე გამოძახების შემთხვევაში. საჭიროების შემთხვევაში მომსახურეობას ემატება შეცვლილი მოწყობილობის ან/და მასალების ღირებულება, სამუშაოების შესრულების შემდეგ ოპერატორის წარმომადგენელი ვალდებულია შეავსოს **აქტი**, სადაც მითითებული იქნება სამუშაოს ან/და მოწყობილობა-მასალების ღირებულება **ტარიფების დანართის** შესაბამისად, რომელსაც ხელმოწერით დაუდასტურებს აბონენტი. **აქტში** მითითებული თანხა ექვემდებარება სრულად გადახდას მიმდინარე თვეში ანგარიშზე დარიცხულ სააბონენტო გადასახად თანხასთან ერთად.

დირექტორი ვალერიანე ბოჭორიშვილი

43002494 8 GEORGIA. LTD „იმერ TV“

ქ. ზესტაფონი

“.....” ..... 2018 წელი
(რიცხვი) (თვე)

ხელშეკრულება N:

მრავალარხიანი სატელევიზიო ტრანზიტული მაუწყებლობის მიწოდების მომსახურეობაზე

ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ: ერთის მხრივ, **შპს „იმერTV“ დირექტორის ვალერიანე ბოჭორიშვილის** სახით, შემდგომში „**ოპერატორი**“ და მეორეს მხრივ ---------- სახით, შემდგომში „**აბონენტი**“. და შემდგომში ორივე ერთად „**მხარეები**“, რომელთა რეკვიზიტები განსაზღვრულია ხელშეკრულების **მე-8** პუნქტში

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მრავალარხიანი სატელევიზიო კოდირებული სიგნალის მიწოდება ოპერატორის კუთვნილებაში მყოფი_____**ანძიდან**

1.3 ოპერატორი, როგორც ტრანზიტორი ტელემაუწყებელი, კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრის დიაპაზონში, კუთვნილი სატელევიზიო ანძებიდან აწვდის აბონენტს მის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე სატელევიზიო პროგრამებს და შემდგომში ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ასრულებს 24 საათიანი კოდირებული სატელევიზიო სიგნალის მიწოდებას.

1.3 აბონენტი სატელევიზიო სიგნალის მიწოდებისათვის ოპერატორს უხდის **მომსახურეობის ტარიფების დანართის** მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფასურს.

1.4 მხარეები თანხმდებიან რომ მომსახურეობის ტარიფებმა და ტელეპროგრამების რაოდენობამ ან/და გადანაცვლებამ მომავალში შეიძლება განიცადოს ცვლილება, რომლის შესახებ 2 კვირით ადრე აბონენტს ეცნობება ოპერატორის საინფორმაციო საშუალებით.

1.5 სატელევიზიო პაკეტების პროგრამების რაოდენობა და ფასები მოცემულია **მომსახურეობის ტარიფების დანართში**, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და რომელთაგან აბონენტი აკეთებს შესაბამის არჩევანს:

პაკეტის არჩევა:

☐ სოციალური (**5ლარი**) ☐ საბაზო (**10ლარი**) ☐ ძირითადი (**15ლარი**) ☐ პლიუს18+ (**18ლარი**).

2. მხერეთა შეთანხმებები ოპერატორის სატელევიზიო სიგნალის მიღებაზე.

2.1 აბონენტი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გადაცემის აქტის შემდეგ მიღებული სატელევიზიო კომპლექტის მონტაჟს და ოპერატორის კუთვნილ რადიოსიხშირული სპექტრის დიაპაზონში კოდირებული სატელევიზიო ტრანზიტული სიგნალის მიღებას.

2.2 ოპერატორი კუთვნილ რადიოსიხშირული სპექტრის დიაპაზონში სატელევიზიო ტრანზიტული კოდირებული სიგნალის გამოყენებისათვის გადასცემს აბონენტს ***დროებითი სარგებლობისათვის კოდირების ბარათს.***.

2.3 მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულების ნებისმიერი ფორმით შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი უბრუნებს ოპერატორს მუშა მდგომარეობაში მყოფ **კოდირების ბარათს**, წინააღმდეგ შემთხვევაში ანაზღაურებს მის ღირებულებას **ტარიფების დანართში** მითითებული თანხის გათვალისწინებით.

3. მომსახურების საფასური და გადახდის პირობები

3.1 **ყოველი თვის სააბონენტო გადასახადის ტარიფი** განისაზღვრება აბონენტის მიერ არჩეული სააბონენტო პაკეტის მიხედვით. აბონენტი **პირველ გადასახადს** იხდის პირველი სატელევიზიო სიგნალის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში, ხოლო გათიშვის შემთხვევაში, სერვისი აღუდგება სრული სააბონენტო ტარიფით გადახდის შემდეგ 3.4.1 და 3.4.2 პუნქტების მიხევით.

3.2 **დამატებითი გადასახადი** შესაძლებელია წარმოიქმნას შემდეგი გარემოებებიდან: აბონენტის მიერ გამოძახებული ოპერატორის ტექნიკური სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს შემდეგ წარმოქმნილი ვალდებულება, რომელიც იანგარიშება სპეციალურ აქტში **ტარიფების დანართის** გათვალისწინებით. აქტი დასტურდება აბონენტის ხელმოწერით და ექვემდებარება მიმდინარე თვეში გადახდას აბონენტის ანგარიშზე დარიცხულ სააბონენტო გადასახად თანხასთან ერთად.

3.3 მომსახურეობის თანხის გადახდა სრულდება წინასწარი გადახდის პრინციპით, სრული სააბონენტო ტარიფით განსაზღვრული თანხის გადახდის შემთხვევაში აბონენტს სერვისი მიეწოდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში

3.4 აბონენტს სერვისი შეუჩერდება, როდესაც საავანსო ანგარიში განულდება, ხოლო სერვისის მიწოდება აღუდგება მხოლოდ სრული სააბონენტო ტარიფის გადახდის შემთხვევაში:

3.4.1 პუნქტი 3.5.1 -ის შემთხვევაში საგადახდო სისტემიდან მოწოდებული ინფორმაციის შემდეგ 1 საათის განმავლობაში.

3.4.2 პუნქტი 3.5.2 -ის შემთხვევაში გადახდიდან 2 საბანკო დღის განმავლობაში.

3.4 აბონენტს არ ერიცხება იმ პერიოდის ღირებულება, რომელიც მას შეჩერებული ქონდა გადაუხდელობის გამო.

3.5 ნებისმიერი სახის მომსახურეობის საფასურის ანაზღაურებას აბონენტი ახდენს ხელშეკრულების ნომრის იდენტიფიცირებით, რომელიც ასევე მითითებულია სატელევიზიო სიგნალის გამხსნელ ბარათზე დატანილი მარკირებული ციფრებით. გადახდის ოპერაციები შესაძლებელია შესრულდეს მხოლოდ შემდეგი საშუალებებით:

3.5.1 სწრაფი გადახდის სისტემაში ჩართული აპარატებით, პუნქტ “კომერციული ტელევიზიებში“ იმერTV-ს ანგარიშზე.

3.5.2 ოპერატორის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტზე, რომლის დროსაც **აბონენტი ვალდებულია მიუთითოს შემდეგი მიმდევრობის ინფორმაცია: სააბონენტო ნომერი, აბონენტის გვარი და სახელი.**

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 აბონენტი ვალდებულია

4.1.1 შეასრულოს ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სატელევიზიო სიგნალის მიწოდებისათვის სრული და დროული ფულადი ანგარიშსწორება პუნქტი 3.3 -ის მიხედვით.

4.1.2 უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით ადგილზე სატელევიზიო კომპლექტის ნორმალური ფუნქციონირება.

4.1.3 შეატყობინოს ოპერატორს ხელშეკრულებაში მითითებული საკონტაქტო საშუალებებით მომსახურეობის ნებისმიერი ფორმის შეფერხებების შესახებ.

4.1.4 არ დაუშვას ოპერატორიდან მომსახურეობის შედეგად მოწოდებული ინფორმაციის საჯარო ჩვენება, ასლების გადაღება და გავრცელება ან სხვასხვა გზებით მომსახურეობის კომერციული მიზნებისათვის გამოყენება.

4.1.5 აბონენტს შეუძლია განახორციელოს სატელევიზიო პაკეტების ცვლილებები თუ განაცხადის მომეტში არ აქვს დავალიანება.

4.2 ოპერატორი ვალდებულია

4.2.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში უზრუნველყოს აბონენტისათვის ხარისხიანი მომსახურეობის მიწოდება შესაბამისად ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში კუთვნილი სატელევიზიო ანძებიდან.

4.2.2 აბონენტის შეტყობინების საფუძველზე უმოკლეს ვადაში ან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში აღადგინოს კოდირებული სატელევიზიო სიგნალის მიწოდება კუთვნილი სატელევიზიო ანძებიდან აბონენტის ტერიტორიამდე.

4.2.3 მოახდინოს გარკვეული პერიოდის სააბონენტო გადასახადის გადაანგარიშება აბონენტის სასარგებლოდ თუ აბონენტს არ მიეწოდება მომსახურეობა ოპერატორის მიზეზით შეტყობინებიდან 48 საათის შემდეგ.

4.2.4 ოპერატორი ვალდებულია მომსახურეობასთან დაკავშირებით ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსოს აბონენტებისათვის საჭირო შემდეგი ინფორმაცია: ყოველთვიური და დამატებითი მომსახურეობის სატარიფო გეგმა; სატელევიზიო გადაცემების ჩამონათვალი პაკეტების მიხედვით; მომსახურეობასთან დაკავშირებით ტექნიკური ხასიათის დამხმარე ინფორმაცია; ოპერატორის საკონტაქტო ინფორმაცია და რეკვიზიტები.

4.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ოპერატორი უფლებამოსილია დაიბრუნოს სატელევიზიო სიგნალის მიმღები მოწყობილობების სრული კომპლექტი იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კომპლექტი ჯერ კიდევ არ იმყოფება აბონენტის საკუთრებაში და იგი ამავდროულად არღვევს ხელშეკრულების **3.3** პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

4.4 მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წარმოშობილ ფინანსურ ან სხვა სახის ვალდებულებებზე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

5. ფორს მაჟორული სიტუაციები

5.1 მხარეები პასუხს არ აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის იმ შემთხვევაში, თუ ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანოების ქმედებებზე, როგორიცაა ცვლილებები კანონმდებლობაში ან საგანგებო მდგომარეობები, ასევე სხვა დაუძლეველი ბუნებრივი ძალების ზემოქმედებებზე.

6. დავების გადაწყვეტა

6.1 მხარეები შეეცდებიან, რომ მათ შორის წამოჭრილი ყოველგვარი უთანხმოებები გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების გზით.

6.2 წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს აქვთ უფლება მიმართონ შესაბამის სასამართლო ორგანოებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

7.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს უვადოდ.

7.2 რომელიმე მხარის წერილობით განაცხადამდე ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

7.3 აბონენტის მხრიდან ხელშეკრულების პუნქტის 3.3 შეუსრულებლობაზე ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით.

8. მხარეთა რეკვიზიტები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

8.2 მხარეები ვალდებულნი არიან მათი რეკვიზიტების ნებისმიერი ფორმით ცვლილების შემთხვევაში ერთმანეთს აცნობონ წერილობითი ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების ფარგლებში რეკვიზიტების ცვლილებით გამოწვეულ ნებისმიერ უარყოფით შედეგზე პასუხისმგებლობას იღებს შესაბამისი ინფორმაციის არ მიმწოდები მხარე.

ოპერატორი შპს "იმერტTV" მისამართი: ქ. ზესტაფონი, კეკელიძის ქ. #6 სიდენტიფიკაციო კოდი: 430024948 საბანკო რეკვიზიტი: **ს/ს საქართველოს ბანკი** კოდი: **BAGAGE22** ანგ№ **GE28BG0000000459499200** ☎ 0492 256000 - ტექნიკური სამსახური ☎ 0492 257077 - ანგარიშსწორების სამსახური ვებ გვერდი **www.imertv.ge** ელ-ფოსტა **info@imertv.ge** დირექტორი ვალერიანე ბოჭორიშვილი მ.ა. /----------/ (ხელმოწერა)	აბონენტი_ (გვარი სახელი გარკვევით) პირადიN: ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐ მისამართი მომსახურეობის მიწოდების მიხედვით _